



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1

ტელ: 27 00 01

N 174
27/03/2017

ბრძანება

174-09-4-201703271115



დაბა ხულოში წერეთლის ქ. №4-ში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის 22 დეკემბერს ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო სოფელ ოქრუაშვილების მცხოვრებ თემურ სოლომონიძის №10824/09 განცხადებაზე, დაბა ხულოში წერეთლის ქ. №4-ში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლით და IX-ე თავით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს მოთხოვნა და დამტკიცდეს დაბა ხულოში წერეთლის ქ. №4-ში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის, მე-IX-ე თავის და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის ანზორ ცეცხლაძის 2017 წლის 17

მარტის N745-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვბრძანებ:

- 1) დამტკიცდეს დაბა ხულოში წერეთლის ქ. №4-ში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და წინამდებარე ბრძანების ასლის (ასლების) შესაბამისი სამსახურისათვის გადაცემა;
- 3) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 4) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის №5) მისი მხარეზე ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ბაუჩაძე



გამგებელი

ხელმძღვანელობა